

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების - სამედიცინო საქმიანობის
სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს (www.rama.moh.gov.ge)
საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის
შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 16 ნოემბერი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.


www.idfi.ge / www.opendata.ge


info@idfi.ge

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სამედიცინო საქმიანობის
სახელმწიფო რეგულირების სააგენტო


www.rama.moh.gov.ge

გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები






შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:



ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი

■ ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე



სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი გაუმართავია, როგორც ინფორმაციული შიგთავსის, ასევე ტექნიკური პარამეტრების მხრივ, რის გამოც შეუძლებელია ვებ-გვერდის საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ტექნიკური პარამეტრების შეფასება.

სააგენტოს ვებ-გვერდზე არ მოიძებნა შემდეგი სახის თითქმის არანაირი ინფორმაცია:

- ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ;
- საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა;
- მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ;
- ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები;
- სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა;
- საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას;
- საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები;
- საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა;
- საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი).

ამასთან, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო მოქმედი დებულების თანახმად ასრულებს მნიშვნელოვან საქმიანობას, კერძოდ, მისი კომპეტენცია და საქმიანობის სფერო სხვა მნიშვნელოვან საქმიანობასთან ერთად მოიცავს, აგრეთვე, შემდეგს:

- **სააგენტო გასცემს შემდეგი სახის ლიცენზიებს:**
სასწრაფო სამედიცინო დახმარების ლიცენზია;

სასამართლო სამედიცინო-ექსპერტიზის ლიცენზია;
სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის ლიცენზია;
პათოლოგანატომიური საქმიანობის ლიცენზია;
განსაკუთრებით საშიშ პათოგენებზე საქმიანობის ლიცენზიას, საწარმოო ტრანსფუზიოლოგიური საქმიანობის ლიცენზია;

- **სააგენტო გასცემს შემდეგი სახის ნებართვებს:**
სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების იმპორტის ან ექსპორტის ნებართვა;
ფარმაცოლოგიური საშუალების კლინიკური კვლევის ნებართვას;
ფარმაცევტული წარმოების სამკურნალო საშუალებების ნებართვა;
ავტორიზებული აფთიაქის ნებართვა.
- **სააგენტო აწარმოებს შემდეგი სახის რეესტრებს:**
ფარმაცევტული პროდუქტის უწყებრივი რეესტრი;
ფარმაცევტული პროდუქტების რეალიზატორების რეესტრი;
სანებართვო უწყებრივი რეესტრი;
- **სააგენტო ახორციელებს შემდეგი სახის კონტროლს:**
იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ პაციენტებისათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლი;
სამკურნალო საშუალებების მიმოქცევისა და ფარმაცევტული საქმიანობის კონტროლი;
სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული სამკურნალო საშუალებების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლი;

სასურველია, ვებ-გვერდზე მოიძიებოდეს ზემოხსენებული ინფორმაციის შესახებ ცნობები.